

ჯ.კ. რომანიანი

Fig. I




Fig. II



ნიუზ სკაენდინავი





ამ ნიშნის  
მფლობელია:

---

ქედონური  
ცხოველები  
და სულ პიკოპოთი იხინი



ქართულ ენაზე „ჰარი პოტერის“ სერიით  
გამოცემულია შემდეგი წიგნები:

ჰარი პოტერი და ფილოსოფიური ქვა  
ჰარი პოტერი და საიდუმლო ოთახი  
ჰარი პოტერი და აზკაბანის ტყვე  
ჰარი პოტერი და ცეცხლოვანი თასი  
ჰარი პოტერი და ფენიქსის ორდენი  
ჰარი პოტერი და ნახევარპრინცი  
ჰარი პოტერი და სიკვდილის საჩუქრები

ღამატიბითი გამოცემები:

ჯადოსნური ცხოველები და სად ვიპოვოთ ისინი  
ქვიდიჩის მრავალსაუკუნოვანი ისტორია  
(გამოცემულია *Comic Relief*-სა და *Lumos*-ის დასახმარებლად)

მგოსანი ბიდლის ზღაპრები  
(გამოცემულია *Lumos*-ის დასახმარებლად)

# ქედოსნური ტემპელები და სულ პიკოპოთ ისინი


---


ნიუს სკამანდერი

  
გაერ სულაკაურის  
გამომცემლობა

 bscurus Books  
18a Diagon Alley, LONDON

განსაკუთრებული მადლობა ჯოან როულინგს  
ამ წიგნის დაწერისა და **Comic Relief**-ისა და  
**Lumos**-ისთვის ჰონორარის სრულად გადაცემისთვის





## სარჩევნი

ავტორის წინასიტყვაობა	13
შესავალი	17
წიგნის შესახებ	17
რუ არის ჭაღოსნური ცხოველი?	18
ორიოდე სიტყვებ ჭაღოსნური ცხოველების შესახებ მეგლების წარმოდგენაზე	24
ჭაღოსნური ცხოველების დამზღვბ	27
მეშ, როგორ მზღვბენ ჭაღოქრები ჭაღოსნურ ცხოველებს?	29
ჭაღოსნური ცხოველების ბინზღრობის ბრეზღი	31
ვბქრობისზ დბ მოშენების შეზღუღვბ	32
ღეიღუზიონირების შეღოცვბ	32
ღვინყების შეღოცვბ	33
ღეზინღორმბციის სბმზხური	33
რუღომ ბრის სბქირო მევიზოღოღიბ	34
მევიის სბმინისღროს მიერ მინიქბღული კღბსიღიკბციბ (მსკ)	35
ჭაღოსნური ცხოველების ბნბზღური მნციკღოკღიღიბ	37
ავტორის შესახებ	124

## პეტიციის წინასწარმზადება

2001 წელს მაგლებისთვის ხელმისაწვდომი გახდა მორიგი გამოცემა წიგნისა „ჯადოსნური ცხოველები და სად ვიპოვოთ ისინი“. მაგიის სამინისტრო დათანხმდა ამ უპრეცედენტო გამოცემას მაგლების დიდად პატივისცემი საქველმოქმედო ორგანიზაციის, Comic Relief-ის სასარგებლოდ. წიგნის გამოცემის ნებართვა ერთადერთი პირობის საფუძველზე მოვიპოვე – მაგლებისთვის განკუთვნილ გამოცემაში აუცილებლად უნდა აღმენიშნა, რომ ეს ყველაფერი ავტორის ფანტაზიის ნაყოფია. პროფესორი ალბუს დამბლდორი დათანხმდა დაენერა ამ პირობის შესაბამისი წინასწარმზადება და საბოლოოდ დიდად კმაყოფილი დავრჩით, რადგან წიგნმა მსოფლიოში ყველაზე დაუცველი ადამიანებისთვის საკმაო ფინანსები მოაგროვა.

მას შემდეგ, რაც მაგიის სამინისტროში დაცულ რამდენიმე დოკუმენტს საიდუმლო გრიფი მოეხსნა, ჯადოსნურმა სამყარომ წიგნის შექმნის თაობაზე ცოტა მეტი ინფორმაცია შეიტყო.

ჯერ კიდევ არ მაქვს უფლება, ღიად ვისაუბრო იმ საქმიანობაზე, რითაც გელერტ გრინდელვალდის ოცნლიანი ტერორის განმავლობაში ვიყავი დაკავებული. მომდევნო წლებში არაერთი დოკუმენტი გასაჯაროვდება და მეც უფრო თავისუფლად მოგიყვებით ჩემს როლზე ჩვენი ისტორიის იმ შავბნელი პერიოდის განმავლობაში. ამჯერად კი პრესის უახლოეს მიმოხილვებში გამოჩენილი რამდენიმე თვალისმომჭრელი უზუსტობის გასწორებას მივყოფ ხელს.

თავის ბოლო ბიოგრაფიაში, სახელად – „ადამიანი თუ ურჩხული? სიმართლე ნიუტ სკამანდერზე“, – რიტა სკიტერი წერს, რომ თქვენი მონა-მორჩილი არასოდეს ყოფილა მაგიზოოლოგი. მისი განცხადებით, მე გახლდით დამბლდორის ჯაშუში, რომელიც მაგიზოოლოგიას იყენებდა „ამერიკის შეერთებული შტატების მაგიურ კონგრესში“ („აშშმკ“) შესაღწევად 1926 წელს.

ამ მოსაზრების აბსურდულობას დაგიდასტურებთ ყველა, ვისაც ოციან წლებში უცხოვრია. მაგ პერიოდში არცერთი საიდუმლო მისიის მქონე ჯადოქარი არ მოიჩვენებდა მაგიზოოლოგის როლს. ჯადოსნური ცხოველებისადმი ინტერესი სახიფათოდ და საეჭვოდ მიიჩნეოდა, ხოლო ასეთი ცხოველებით სავსე ჩემოდნით დიდი ქალაქის ცენტრში სიარული, სხვა თუ არაფერი, დიდ შეცდომად ჩაითვლებოდა.

ამერიკაში შავ ბაზარზე გაყიდული ქორიშხალას გამოსახსნელად გავეშურე. ეს საკმაოდ სარისკო საქმე იყო, რადგან „აშშმკ“ იმდროინდელი პოლიტიკა ჯადოსნური ცხოველების მკვლელობის ლიცენზიას გასცემდა. სიამაყით შემიძლია განვაცხადო, რომ ჩემი ჩასვლიდან ერთ წელიწადში პრეზიდენტმა სერაფინა პიკერიმ ქორიშხალების დასაცავად განკარგულება გამოსცა. ეს აქტი სხვა არსებებზეც უნდა გავრცელებულიყო (პრეზიდენტი პიკე-

რის თხოვნით, პირველ გამოცემაში რამდენიმე ენდემური ამერიკული სახეობა არ შევიყვანე ცნობისმოყვარე ჯადოქარი დამთვალე რეზიუმეების მომრავლების თავიდან ასარიდებლად. დავთანხმდი იმის გათვალისწინებით, რომ ამ პერიოდში ამერიკელი ჯადოსნების საზოგადოება, ევროპელი თანამოძმეებისგან განსხვავებით, მეტად იდეზიზებულია, და, ამავდროულად, ჩემი დაუდევრობით „ნიუ-იორკის საიდუმლოების სტატუსის“ დარღვევაში დიდი წილი მიმიძღვოდა. კუთვნილი ადგილი ამ არსებებს ახალ გამოცემაში ვარგუნე).

მის სკიტერის წიგნში არსებულ ყველა თავზეხელაღებული მტკიცებაზე პასუხის გაცემა თვეებს წაიღებს. უბრალოდ იმას დავამატებ, რომ არათუ „პრეზიდენტ პიკერის საყვარელი ვირთხა ვარ“, რომელმაც იგი „გულგატეხილი დატოვა“, არამედ პრეზიდენტმა ხაზგასმით მიმითითა იმ რადიკალური ზომების შესახებ, რომელსაც ჩემს გასაგდებად გაატარებდა თუ ნებით და სასწრაფოდ არ დავტოვებდი ნიუ-იორკს.

სიმართლეა ის, რომ მე გახლდით პირველი ადამიანი, რომელმაც გელერტ გრინდელვალდი შეიპყრო. ისიც მართალია, რომ ალბუს დამბლდორი ჩემთვის სკოლის მასწავლებელზე მეტი იყო. ამას ველარაფერს დავამატებ იმის შიშით, „ოფიციალური ჯადოსნური საიდუმლოებების აქტი“ არ დავარღვიო. უფრო მეტად კი იმას ვერიდები, არ შევბღალო ერთ-ერთი ყველაზე ჩაკეტილი ადამიანის, დამბლდორის მიერ ჩემთვის განდობილი კონფიდენციალურობა.

ამ წიგნის შექმნა განაპირობა სხვადასხვა, ჩემთვის განსაკუთრებულმა მიზეზმა. პირველი ნაბიჯების გახსენებისას მოგონებებს ყოველ გვერდზე ვაცოცხლებ – ისეთ მოგონებებს, მკითხველისთვის რომ უხილავი რჩება. ჩემი

უდიდესი სურვილია, ჯადოქრების მომავალმა თაობებმა მის გვერდებში იპოვონ ახალი მიზეზები იმ არსებების შესაყვარებლად და დასაცავად, რომლებთანაც სწორედაც რომ ჯადოსნობა გვაკავშირებს.

ნიუტ სკამანდერი

# შესავალი

## წიგნის შესახებ

„**ქ**ადოსნური ცხოველები და სად ვიპოვოთ ისინი“ მრავალწლიანი მოგზაურობისა და შრომის ნაყოფია. მახსენდება შვიდი წლის ჯადოქარი, რომელიც დიდი ხნის წინ თავის საძინებელში საათობით ანანევრებდა ჯაგარას შიგთავსს, და მშურს მისი, რადგან წინ უამრავი დაუვინყარი მოგზაურობა ელოდა გაუვალ ჯუნგლებსა და მცხუნვარე უდაბნოებში, მთის მწვერვალებსა და ღრმა ქაობებში. ეს პირდაუბანელი, ჯაგარაში ამოგანგლული ბიჭი რომ გაიზრდებოდა, მომდევნო გვერდებზე აღწერილ ზღაპრულ ცხოველებს ჩაუდგებოდა კვალში. მე ხუთივე კონტინენტზე მიძებნია ბუნაგები, სოროები და ბუდეები, ასობით ქვეყანაში დავკვირვებივარ ჯადოსნური არსებების უცნაურ ქცევებსა და ჩვეულებებს, მოწმე გავმხდარვარ მათი ძალისა, მომიპოვებია მათი ნდობა და ზოგი მათგანი ჩემი სამგზავრო ჩაიდნითაც კი მომიგერიებია.

„ჯადოსნური ცხოველების“ გამოცემა ჯერ კიდევ

1918 წელს შემომთავაზა ბატონმა ავგუსტუს ვორმმა. მან დამდო პატივი და მკითხა, ხომ არ დავწერდი ჯადოსნური არსებების შესახებ ავტორიტეტულ სახელმძღვანელოს მისი გამომცემლობა „ობსკურუსისტის“. მაშინ მე მაგიის სამინისტროს წვრილი მოხელე გახლდით და ხელიდან არ გამიშვია არაჩვეულებრივი შესაძლებლობა, გამეზარდა ჩემი მწირი ხელფასიც (კვირაში 2 სიკლი) და თანაც, შვებულებების დროს მთელი მსოფლიო მომეველო ჯადოსნური ცხოველების ახალი სახეობების საძიებლად. რაც შემდეგ მოხდა, დღეს უკვე საგამომცემლო ისტორიის კუთვნილებაა – „ჯადოსნური ცხოველები“ ორმოცდათორმეტჯერ გამოიცა.

ამ შესავალი სიტყვით მინდა პასუხი გავცე რამდენიმე კითხვას, რომლებსაც 1927 წელს ამ წიგნის პირველი გამომცემის შემდეგ ხშირად ვიღებ ყოველკვირეული ფოსტით. პირველი და უმნიშვნელოვანესი კითხვაა: „მაინც რა არის ჯადოსნური ცხოველი?“

### **რა არის ჯადოსნური ცხოველი?**

„ცხოველის“ განმარტებაზე უკვე რამდენიმე საუკუნეა, ცხარე კამათი მიმდინარეობს. ტერმინმა შეიძლება დააბნოს მაგიზოოლოგიაში გაუთვითცნობიერებელი მკითხველი, ამიტომ მეტი თვალსაჩინოებისთვის, მოდით, სამი ტიპის ჯადოსნური არსება განვიხილოთ:

მაქციები ცხოვრების უმეტეს ნაწილს ადამიანის

(ჯადოქრის თუ მაგლის) სახით ატარებენ. მაგრამ თვეში ერთხელ ველურ, ოთხფეხა, სისხლს მონყურებულ მხეცად გარდაისახებიან, რომელსაც აზროვნების უნარი სრულად აქვს დაკარგული.

კენტავრების წეს-ჩვეულებები ადამიანურისგან ძალიან განსხვავდება: ისინი ცხოვრობენ ველურ ბუნებაში, უარს ამბობენ ტანსაცმლით შემოსვაზე, ჯადოქრებისა და მაგლებისგან თავი შორს უჭირავთ და, ამის მიუხედავად, გონიერებით მათ ნამდვილად არ ჩამოუვარდებიან.

ტროლებს ადამიანის იერსახე აქვთ, დადიან ორ ფეხზე, შეუძლიათ რამდენიმე მარტივი სიტყვის შესწავლა, მაგრამ ყველაზე გონებაჩლუნგ ცალრქიან ცხენზე უფრო ყეყეჩები არიან და არნახული ფიზიკური ძალის გარდა, არავითარ მაგიურ ძალას არ ფლობენ.

ისმის კითხვა: ზემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია „არსება“, ანუ ქმნილება, რომელსაც აქვს იურიდიული უფლებები და ჯადოქრული სამყაროს მართვაში სიტყვა ეთქმის, და რომელია „ცხოველი“?

სხვადასხვა ჯადოსნური არსების „ცხოველად“ კლასიფიკაციის ადრეული მცდელობები საკმაოდ უსუსური აღმოჩნდა.

ჯერ კიდევ მეთოთხმეტე საუკუნეში, ჯადოქართა საბჭოს\* თავმჯდომარემ – ბერდოკ მალდუნმა გამოსცა

---

\* ჯადოქართა საბჭო მაგიის სამინისტროს წინამორბედი ორგანო იყო.

დადგენილება, რომ „არსების“ სტატუსი მიენიჭებოდა ჯადოქართა საზოგადოების ნებისმიერ ორფეხა წევრს, ყველა დანარჩენი კი „ცხოველად“ იწოდებოდა. მეგობრული გრძნობით გულანთებულმა ბერდოკმა ყველა „არსება“ სხდომაზე მოიწვია ჯადოქრებთან ერთად ჯადოქრული სამყაროს ახალ კანონებზე სათათბიროდ, მაგრამ მალევე თავზარდაცემულმა აღმოაჩინა, რომ უდიდესი შეცდომა დაუშვა: დარბაზი გადაჭედ-ილი იყო გობლინებით, რომლებსაც თან მოეყვანათ ყველა ორფეხა არსება, რომელთა მოძებნაც კი შეძლეს. ამასთან დაკავშირებით ბათილდა ბეგშოთი „მაგიის ისტორიაში“ წერს:

„თითქმის არაფერი ისმოდა დირიკოლების გნი-ასში, ავგურების მოთქმასა და ბუბულების გაბმულ, გამყინავ გალობაში. ჯადოქრებს წინ დანყობილი დოკუმენტების წაკითხვას არავინ აცლიდა, თავზე ფერიები დასტრიალებდნენ, ხითხითებდნენ და ყურში რალაცეებს ჩასძახოდნენ. ათიოდე ტროლი ხელკეტებით მისდგა დარბაზს და ლენა დაუნყო, ბრბოში კუდიანები დაიპარებოდნენ და ბავშვებს ეძებდნენ, რომ შეესანსლათ. როდესაც საბჭოს თავმჯდომარე წამოდგა, შეხვედრა გახსნილად რომ გამოეცხადებინა, ხოჭმაჭოს ნეხვის გროვაზე გაუსრიალდა ფეხი და წყევლა-კრულვით გავარდა დარბაზიდან.“

როგორც ვხედავთ, მხოლოდ ორ ფეხზე სიარული არ ნიშნავს იმას, რომ ჯადოსნური არსება შეძლებს ან მოისურვებს ჯადოქართა სამყაროს მართვაში მონაწილეობას.

ილეობას. გამნარებულმა ბერდოკ მალდუნმა ფარ-  
ხმალი დაყარა და ჯადოქართა საბჭოში არაჯადოქარი  
წევრების ჩართვა აღარ უცდია.

ბალდუნის მონაცვლემ – მადამ ელფრიდა კლაგმა  
„არსების“ განმარტების შეცვლა სცადა იმ იმედით,  
რომ სხვა ჯადოსნურ ქმნილებებთან უფრო მჭიდრო  
კავშირს დაამყარებდა. მან განაცხადა, რომ ამიერი-  
დან „არსებად“ იწოდებოდა ის, ვინც ადამიანთა ენაზე  
მეტყველებდა. ამიტომ საბჭოს მომდევნო სხდომაზე  
მოიწვიეს ყველა, ვისაც დამსწრე საზოგადოების წი-  
ნაშე აზრის გამოთქმა შეეძლო. მაგრამ გარკვეული  
პრობლემები ამჯერადაც შეიქმნა – ტროლებს  
გობლინებისგან რამდენიმე მარტივი წინადადება  
ჰქონდათ ნასწავლი, ამიტომ ისევ გამოცხადდნენ და  
დარბაზის მსხვრევა განაახლეს. სკამებქვეშ ჯარვები  
დაქროდნენ და საბჭოს წევრებს კოჭებზე კბენდნენ.  
შეხვედრა მალევე დატოვა ამრეზილი მოჩვენებების  
დიდმა დელეგაციამ (წინა სხდომაზე ისინი მალდუნმა  
არ მიიწვია იმ საბაბით, რომ ჰაერში დალივლივებდნენ  
და ორ ფეხზე არ დადიოდნენ). როგორც მოგვიანებით  
გაირკვა, მოჩვენებები აღაშფოთა იმან, რომ „საბჭო  
მთელ ყურადღებას უთმობდა ცოცხალთა ინტერე-  
სებს და გარდაცვლილთა სურვილებს უსირცხვილოდ  
უგულბელყოფდა“. კენტავრები, რომლებიც მალდუ-  
ნის კლასიფიკაციით „ცხოველებს“ მიაკუთვნეს, მადამ  
კლაგის კლასიფიკაციით კი – „არსებებს“, შეხვედრაზე  
პროტესტის ნიშნად არ გამოცხადდნენ მონვეულთა

სიიდან სირინოზების ამოღების გამო (სირინოზებს ხომ მხოლოდ თავიანთ ენაზე შეეძლოთ საუბარი).

ამ ტერმინებს ჯადოსნური საზოგადოების უმრავლესობისთვის მისაღები განმარტება კიდევ დიდხანს ვერ მოეძებნა. ბოლოს და ბოლოს, 1811 წელს ახლად დანიშნულმა მაგიის მინისტრმა – გროგან სტამპმა გამოსცა დადგენილება, რომლის თანახმადაც „არსებად“ გამოცხადდა „ნებისმიერი ქმნილება, რომელსაც გააჩნია საკმარისი გონიერება, გაიაზროს ჯადოსნური საზოგადოების კანონები და ამ კანონების ჩამოყალიბებაში მონაწილეობა მიიღოს“\*. ტროლები გობლინების გარეშე დაკითხეს და გაარკვიეს, რომ ვერაფერს შეასმენდნენ, ამიტომ ორ ფეხზე სიარულის მიუხედავად, მაინც „ცხოველის“ კლასიფიკაცია

---

\* გამონაკლისი დაუშვეს მოჩვენებებისთვის, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ მათი „არსებებად“ კლასიფიკაცია გაუგონარი სისასტიკე იყო, რადგან ისინი „ნაარსებალნი“ იყვნენ. შესაბამისად, ტამპმა „ჯადოსნური არსებების რეგულირებისა და კონტროლის დეპარტამენტში“ სამი განყოფილება შექმნა: ცხოველების, არსებებისა და სულების. მას შემდეგ, რაც „არსების“ სტატუსი კუდიანებსაც და ვამპირებსაც მიანიჭეს, შეურაცხყოფილმა კენტავრებმა განაცხადეს, რომ თავიანთ საქმეებს ჯადოქრების დაუხმარებლადაც მიხედავდნენ. ერთი წლის შემდეგ იგივე მოითხოვეს სირინოზებმაც. მაგიის სამინისტრო იძულებული გახდა დაეკმაყოფილებინა მათი მოთხოვნა. მიუხედავად იმისა, რომ „ჯადოსნური არსებების რეგულირებისა და კონტროლის დეპარტამენტის“ ცხოველების განყოფილებაში კენტავრებთან ურთიერთობის სამსახური არსებობს, მისთვის ჯერ არც ერთ კენტავრს არ მიუმართავს. მართლაც, „კენტავრებთან ურთიერთობის სამსახურში გადაყვანა“ დეპარტამენტის თანამშრომლებს შორის მოარულ ხუმრობად იქცა და როდესაც ამას ვინმეზე ამბობენ, იმას გულისხმობენ, რომ ამ პირს სამსახურიდან მალე დაითხოვენ.

მიანიჭეს. სირინოზებს თარჯიმნების დახმარებით დაუკავშირდნენ და პირველად შესთავაზეს „არსებებად“ კლასიფიკაცია, ხოლო სხვადასხვა სახეობის ფერიები და გნომები, მათი ადამიანური გარეგნობის მიუხედავად, ულაპარაკოდ მიაკუთვნეს „ცხოველის“ კატეგორიას.

ცხადია, ყველაფერი ამით არ დამთავრებულა. ჩვენ ყველანი ვიცნობთ ექსტრემისტებს, რომლებიც მაგლების „ცხოველად“ კლასიფიკაციას მოითხოვენ; ვიცით, რომ კენტავრებმა უარი თქვეს „არსების“ სტატუსზე და „ცხოველად“ დარჩენა ამჯობინეს, მაქციები კი, უკვე მრავალი წელია, ცხოველებისა და არსებების განყოფილებებს შორის არიან გამოკიდებულინი: დღესდღეობით არსებების განყოფილებაში მაქციათა მხარდაჭერის სამსახური მოქმედებს, ხოლო ცხოველების განყოფილების ფარგლებში მაქციათა რეესტრი და მაქციათა შეპყრობის სამსახური ფუნქციონირებს. რამდენიმე მაღალი ინტელექტის მქონე ქმნილება „ცხოველის“ კატეგორიაშია შესული, რადგან თავისი მხეცური ბუნების დაძლევა არ შეუძლია. აკრომანტულას და მანტიკორას გამართული მეტყველების უნარი აქვთ, მაგრამ მათ სიახლოვეს ადამიანი თუ გაჭაჭანდა, თვალის დახამხამებაში გადასანსლავენ. სფინქსი მხოლოდ გამოცანებითა და თავსატეხებით საუბრობს და არასწორი პასუხის შემთხვევაში აგრესიული ხდება.

მომდევნო გვერდებზე აღწერილი ზოგიერთი ცხოველის კლასიფიკაცია ჯერაც სადავოა და ამის შესახებ იქვეა მითითებული.

ახლა კი მოდით, პასუხი გავცეთ კითხვას, რომელსაც ჯადოქრები ყველაზე ხშირად სვამენ, როდესაც საუბარი მაგიზოოლოგიას შეეხება: რატომ ვერ ამჩნევენ მაგლები ჯადოსნურ არსებებს?

### **ორიოდე სიწყევ ჭადოსნური ცხოველების შესახებ მაგლების წარმოდგენაზე**

ბევრი ჯადოქრისთვის შეიძლება გასაკვირი აღმოჩნდეს ის, რომ მაგლები საკმაოდ კარგად იცნობენ ზოგიერთ ჯადოსნურ ცხოველს, მიუხედავად იმისა, რომ მათ ასე დიდხანს და მონდომებით ვუმალავდით. მაგლების შუასაუკუნეების ხელოვნებასა და ლიტერატურაზე თვალის ერთი გადავლებითაც დარწმუნდებით, რომ ძველად ბევრი იმ ცხოველის არსებობისა სჯეროდათ, რომლებსაც დღეს გამოგონილად მიიჩნევენ. მაგლების იმდროინდელ ნამუშევრებში გამოსახულია დრაკონი, გრიფონი, ცალრქიანი ცხენი, ფენიქსი, კენტავრი და სხვები, თუმცა ზოგჯერ თითქმის კომიკური უზუსტობით.

ამის მიუხედავად, მაგლების ბესტიარიუმს\* ყურადღებით თუ გაეცნობით, დარწმუნდებით, რომ

---

\* შუა საუკუნეების ალეგორიული იგავები ცხოველების შესახებ

ჯადოსნური არსებების უმრავლესობა მაგლებმა ან საერთოდ ვერ აღმოაჩინეს, ან ჩვეულებრივ ცხოველებად მიიჩნიეს. მაგალითისთვის წარმოგიდგინთ ვუსტერის საგრაფოში მოღვანე ფრანცისკანელი ბერის – ძმა ბენედიქტის ხელნაწერის გადარჩენილ ფრაგმენტს:

„დღეს ბოსტანში მუშაობისას რეჰანი რომ ამოვძირკვე, ვეებერთელა ქრცვინი დავინახე. ცხოველი არ გაქცეულა და არ დამალულა, როგორც ქრცვინს ჰმართებს, არამედ მეძგერა, ზურგზე დამაგდო და არაბუნებრივი მძვინვარებით დამჭყივლა: „თავიდან მომწყდი, შე ქაჩალო!“ შემდეგ ცხვირზე ისე გააფთრებით მიკბინა, რომ სისხლდენა რამდენიმე საათს ვერ შევიჩერე. სხვა ბერებმა არ დამიჯერეს, რომ მოლაპარაკე ქრცვინს შევხვდი და ეჭვით მკითხეს, შემთხვევით ძმა ბონიფაციუსის თალგამის ღვინოს ხომ არ მივეძალე. თუმცა, რადგან ცხვირი ისევ შესიებული მქონდა და სისხლი კვლავაც მდიოდა, საღამოს ლოცვიდან გამათავისუფლეს.“

აშკარაა, რომ ჩვენი მაგლი მეგობარი არა ქრცვინს, როგორც თვითონ ეგონა, არამედ, სავარაუდოდ, საყვარელ საკბილოზე, გნომზე მონადირე ჯარვის გადააწყდა.

მსგავსი შემთხვევები ჯადოქრობის ყოველგვარი გამოვლინების მიმართ მაგლების შიშს კიდევ უფრო აღრმავებდა. იმ ეპოქაში ჯადოქრების დევნამ არნახული მასშტაბი მიიღო და ისეთი არსებების და-

ნახვა, როგორებიცაა დრაკონები და ჰიპოგრიფები, მაგლების ისტერიას კიდევ უფრო აძლიერებდა.

თუმცა ამ ნაშრომის მიზანი არ არის იმ შავბნელი ეპოქის განხილვა, რომელსაც ჯადოქრების იზოლირება და მაგლების სამყაროსგან გამიჯვნა მოჰყვა\*. ჩვენ გვაინტერესებს იმ ჯადოსნური ცხოველების ბედი, რომლებსაც ჩვენსავით მოუწიათ დამალვა, რათა მაგლები მაგიის არარსებობაში დაგვერწმუნებინა.

ჯადოქართა საერთაშორისო კონფედერაციამ ამ საკითხს 1692 წელს გამართული ცნობილი სხდომა მიუძღვნა. შვიდი კვირის განმავლობაში გრძელდებოდა ცხარე კამათი სხვადასხვა ეროვნების ჯადოქრებს შორის მაგიური ქმნილებების ესოდენ აქტუალურ საკითხზე. რამდენი სახეობის დამალვას შეეძლებდით მაგლებისგან და ამისთვის რომელი სახეობები უნდა შეგვერჩია? სად და როგორ უნდა დაგვემალა ისინი? კამათი სულ უფრო მწვავედებოდა, ზოგიერთ არსებას წარმოდგენაც არ ჰქონდა, რომ მისი ბედი წყდებოდა, ზოგი კი უშუალოდ მონაწილეობდა დებატებში.\*\*

ბოლოს და ბოლოს სხდომის მონაწილეებმა შეთანხმებას მიაღწიეს.\*\*\* გადანყდა, რომ სხვადასხვა ზომის ცხოველთა ოცდაშვიდ სახეობას – დრაკონებით

---

\* ჯადოქრების ისტორიის ეს განსაკუთრებით სისხლიანი პერიოდი დანვრილებით არის აღწერილი ბათილდა ბეგმოთის წიგნში „მაგიის ისტორია“ („ლითლ რედ ბუქსის“ გამოცემა, 1947 წ.)

\*\* კენტავრების, სირინოზების და გობლინების დელეგაციები როგორც მაინც დაიყოლიეს, რომ დასწრებოდნენ ამ სხდომას.

\*\*\* რომელსაც მხოლოდ გობლინებმა არ დაუჭირეს მხარი

დანყებული, ბანდიმანებით დამთავრებული – მოარიდებდნენ მაგლების თვალს, რათა მათ ერწმუნათ, რომ ეს არსებები მხოლოდ და მხოლოდ მათი წარმოსახვის ნაყოფი იყო. მომდევნო საუკუნეში, როდესაც ჯადოქრები დამალვის მეთოდებში დახელოვნდნენ, გადამალულ ცხოველთა რაოდენობაც გაიზარდა. 1750 წელს საიდუმლოს შენახვის საერთაშორისო წესდებას 73-ე მუხლი დაემატა, და დღესდღეობით მისი შესრულება მსოფლიოს ყველა მაგიის სამინისტროს მოეთხოვება:

„თითოეული ჯადოქრული მართვის ორგანო პასუხისმგებელია თავისი ტერიტორიის საზღვრებში მცხოვრები ყველა ჯადოსნური ცხოველის, არსებისა და სულის არსებობის გასაიდუმლოებაზე, მოვლასა და გაკონტროლებაზე. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ქმნილება ზიანს მიაყენებს მაგლების საზოგადოებას, ან მათ ყურადღებას მიიქცევს, შესაბამისი ქვეყნის მმართველი ორგანო ჯადოქართა საერთაშორისო კონფედერაციის წინაშე აგებს პასუხს.“

### **ჯადოსნური ცხოველების დამხვება**

სამწუხაროდ, ნამდვილად ვერ ვიტყვით, რომ ძალაში შესვლის დღიდან 73-ე მუხლი არც ერთხელ არ დარღვეულა. უფროს თაობას ალბათ ემახსოვრება ილფრაკომბის 1932 წლის ინციდენტი, როდესაც ცუდლუტი უელსური მწვანე დრაკონი მზეს მიფიცხე-

ბული მაგლებით სავსე პლაჟზე დაეშვა. მრავალ-რიცხოვანი მსხვერპლის თავიდან აცილება მხოლოდ დამსვენებლებს შორის მყოფი ჯადოქართა ოჯახის დროული ჩარევის წყალობით მოხერხდა (მოგვიანებით ეს ოჯახი მერლინის პირველი ხარისხის ორდენით დააჯილდოვეს): მათ დაუყოვნებლივ გამოიყენეს ილფრაკომბის მცხოვრებლებზე საუკუნის ყველაზე მასობრივი დავინყების შელოცვა და ამით ბენვზე გადაგვარჩინეს კატასტროფას.\*

ჯადოქართა საერთაშორისო კონფედერაციას არაერთხელ დაუჯარიმებია ზოგიერთი ქვეყანა 73-ე მუხლის შეუსრულებლობისთვის. განსაკუთრებით ურჩი დამრღვევები არიან ტიბეტი და შოტლანდია. მაგლებს იეტი უკვე იმდენჯერ დაუნახავთ, რომ ჯადოქართა საერთაშორისო კონფედერაციამ საჭიროდ მიიჩნია მთებში მუდმივად პატრულირებდეს საერთაშორისო ოპერატიულ-ტაქტიკური ჯგუფი. ლოხ-ნესის ტბაში კი პოპულარობას მონყურებული მსოფლიოს უდიდესი წყლის ალი ცხოვრობს და მისი დაჭერა დღემდე ვერავის მოუხერხებია.

ამ სამწუხარო გამონაკლისებს თუ არ ჩავთვლით, შეგვიძლია თამამად განვაცხადოთ, რომ ჯადოქრებმა

---

\* 1972 წელს გამოცემულ თავის წიგნში „მაგლი, რომელიც ხედავს“, ბლენჰაიმ სტალკი ამტკიცებს, რომ ილფრაკომბის ზოგიერთი მცხოვრები გადაურჩა დავინყების მასობრივ შელოცვას. დღემდე ვიღაცა მაგლი, მეტსახელად „დაბდურა დერეკი“, სამხრეთის სანაპიროს ბარებში ყველას უყვება, როგორ გაუხვრიტა გასაბერი ლეიბი „უზარმაზარმა საზიზღარმა მფრინავმა ხვლიკმა“.

წარმატებით გაართვეს თავი დასახულ ამოცანას. სწორედ მათი დამსახურებაა, რომ დღესდღეობით მაგლების აბსოლუტურ უმრავლესობას არ სჯერა ჯადოსნური ცხოველების არსებობისა, რომლებსაც მათი წინაპრები ასე უფრთხოდნენ. ის მაგლებიც კი, რომლებიც ხოჭმაჭოს სკორეს ან სტრილერის ნაკვალევს ამჩნევენ (რა თქმა უნდა, შეუძლებელია ამ ცხოველების ყოველგვარი კვალის ნაშლა), მათი არამაგიური წარმოშობის ყველაზე უსაფუძვლო ახსნითაც კმაყოფილდებიან.\* თუ რომელიმე წინდაუხედავი მაგლი სხვა მაგლს გაანდობს, რომ ჩრდილოეთისკენ მფრინავი ჰიპოგრიფი დაინახა, მას ან გიჟად შერაცხავენ, ან ლოთად. შეიძლება იფიქროთ, რომ ამ მაგლის მიმართ უსამართლობას ვიჩინთ, მაგრამ დამეთანხმებით, ეს ნამდვილად სჯობს სარზე წამოცმას და დანვას, ან სოფლის გუბეში ჩახრჩობას.

### **მაშ, როგორ მალავენ ჯადოქრები ჯადოსნურ ცხოველებს?**

საბედნიეროდ, ცხოველების ზოგიერთ სახეობას მაგლებისგან დასამალად ჯადოქრების დახმარება არ სჭირდება. მაგალითად, ტებოს, დემიგაისსა და ტყისკაცუნას შენიღბვის ძალიან ეფექტური საშუ-

---

\* მაგლების ამ სასარგებლო თვისების მეტად საინტერესო კვლევას გვთავაზობს პროფესორი მორდიკუს ეგი თავის წიგნში „პრაგმატიზმის ფილოსოფია: რატომ არ სურთ მაგლებს, დაიჯერონ.“ („დასტენდ მილდევის“ გამოცემა, 1963 წ.)

ალებები აქვთ და მათ დასამალად მაგიის სამინისტროს ჩარევა საჭირო არ გამხდარა. გარდა ამისა, არსებობენ სხვა სახეობებიც (ცალრქიანი ცხენი, მთვარის ხბო და კენტავრი), რომლებიც გამჭრიახობის ან თანდაყოლილი გაუბედაობის გამო მაგლებთან ყოველგვარ კონტაქტს გაურბიან. სხვა ჯადოსნური ცხოველები მაგლებისთვის მიუწვდომელ ადგილებზე სახლობენ, მაგალითად აკრომანტულა ბორნეოს რუკაზე მოუნიშნავ უღრან ტყეებში ცხოვრობს, ხოლო ფენიქსი ბუდეს მთის ისეთ მაღალ მწვერვალებზე იკეთებს, რომ მაგიის დაუხმარებლად იქამდე ვერავინ მიაღწევს. დაბოლოს, ჯადოსნურ ცხოველთა ბევრი სახეობა მეტისმეტად პატარა, სწრაფი ან განაფულია ჩვეულებრივ ცხოველად თავის გასაღებაში, ამრიგად მაგლების ყურადღებას არ იქცევენ. მათ რიცხვს მიეკუთვნებიან ჩიზპარფლები, ბილივიგები და კრაპები.

ამის მიუხედავად, ბევრი ცხოველი, ნებით თუ უნებლიეთ, მაინც ეჩხირება თვალში მაგლებს, და სწორედ ისინი უჩენენ უამრავ თავსატეხს „ჯადოსნური არსებების რეგულირებისა და კონტროლის დეპარტამენტს“. ეს განყოფილება სიდიდის მიხედვით მეორეა მაგიის სამინისტროში\* და მისი მთავარი საქმიანობა

---

\* მაგიის სამინისტროს ყველაზე დიდი სტრუქტურული ერთეული „ჯადოქრული ძალოვანი სტრუქტურების დეპარტამენტი“, რომლის წინაშეც ნაწილობრივ ან მთლიანად არის ანგარიშვალდებული დანარჩენი ექვსივე დეპარტამენტი, ალბათ, საიდუმლოებების დეპარტამენტის გამოკლებით.

თავისი მეურვეობის ქვეშ მყოფ ცხოველებთან დაკავშირებული ყოველგვარი პრობლემის გადაჭრის ეფექტური გზების ძიებაა.

### **ჯადოსნური ცხოველების ბინადრობის პრეული**

ჯადოსნური არსებების დასამალად გადადგმული ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი ალბათ მათთვის დაცული ტერიტორიების მოწყობა იყო. ტყეებს, სადაც კენტავრები და ცალრქიანი ცხენები ბინადრობენ და აგრეთვე, იმ ტბებსა და მდინარეებს, რომლებიც სირინოზებისთვისაა გამოყოფილი, მაგლების ამსხლეტი შელოცვები იცავს. განსაკუთრებით საშიში ცხოველების, მაგალითად, კვინტაპედების შემთხვევაში, მთელ ტერიტორიას აღუნიშნავად აქცევენ.\*

ზოგიერთი დაცული ტერიტორია, მაგალითად, დრაკონის ნაკრძალი, ჯადოქართა მუდმივ მეთვალყურეობას საჭიროებს. ცალრქიანი ცხენებისა და სირინოზებისგან განსხვავებით, რომლებიც სიხარულით რჩებიან მათთვის განკუთვნილ ტერიტორიაზე, დრაკონები შემთხვევას არ უშვებენ ხელიდან, რომ ნადირობისას თავიანთი ნაკრძალის საზღვრები დაარღვიონ. ზოგჯერ მაგლების საწინააღმდეგო შელოცვაც არ ჭრის, რადგან ჯადოსნური ცხოველები

---

\* როდესაც მიწის მონაკვეთი აღუნიშნავი ხდება, მისი რუკებზე დატანა შეუძლებელია.

თავიანთი ძალით უკუაგდებენ. ასეთები არიან, მაგალითად, წყლის ალი, რომლის ცხოვრების ერთადერთი მიზანი ადამიანების მიტყუებაა, და პოგრებიანი, რომელიც ასევე ადამიანთა შორის დაეძებს საკბილოს.

### **ვაჭრობის და მოშენების შეზღუდვა**

გიგანტური და მძვინვარე ურჩხულებისგან მაგლების დასაცავად, უმკაცრესი ჯარიმებია დაწესებული ასეთი ცხოველების გამრავლებასა და მათი კვერცხებით ან ნაშიერებით ვაჭრობაზე. ჯადოსნური არსებების რეგულირებისა და კონტროლის დეპარტამენტი მკაცრად მეთვალყურეობს ჯადოსნური ცხოველების ყიდვა-გაყიდვას. 1965 წელს ექსპერიმენტული სახეობების გამოყვანის აკრძალვის შემდეგ ცხოველთა ახალი სახეობების გამოყვანა კანონით ისჯება.

### **დეილუზიონირების შელოცვა**

მაგლებისგან ჯადოსნური არსებების დამალვითი თოქოული ჯადოქრის მოქალაქეობრივი ვალია. მაგალითად, ჰიპოგრიფის მფლობელებს კანონით ევალებათ ცხოველისთვის დეილუზიონირების შელოცვა, რათა მაგლების თვალში მას იერსახე შეუცვალონ. დეილუზიონირების შელოცვას ხანმოკლე მოქმედება აქვს, ამიტომ ის ყოველდღე უნდა ჩატარდეს.

### **დეზინფექციის შელოცვა**

თუ მაგლმა მაინც დაინახა ჯადოსნური ცხოველი, სიტუაციის გამოსწორების ყველაზე უებარი საშუალება დეზინფექციის შელოცვაა. მისი შესრულება თვითონ ამ ცხოველის პატრონსაც შეუძლია, მაგრამ განსაკუთრებით მწვავე ინციდენტების დროს მაგის სამინისტრო შემთხვევის ადგილზე გამოცდილი ობლივიატორების ჯგუფს აგზავნის.

### **დეზინფორმაციის სამსახური**

დეზინფორმაციის სამსახურის ჩარევა მხოლოდ ჯადოქრობასთან მაგლების შეჯახების ყველაზე მძიმე შემთხვევებში ხდება საჭირო. ჯადოქრობით გამონეული ზოგიერთი კატასტროფა თუ უბედური შემთხვევა იმდენად თვალშისაცემი და მასშტაბურია, რომ მაგლები მათ ვერაფრით ხსნიან. ასეთ დროს დეზინფორმაციის სამსახური პირდაპირ უკავშირდება მაგლების პრემიერ-მინისტრს და მოვლენას დამაჯერებელ პრაქტიკულ ახსნას გამოუძიბნის. სწორედ ამ სამსახურის ტიტანური შრომის დამსახურებაა, რომ მაგლები დარწმუნებულები არიან ლოხ-ნესის წყლის ალის ფოტოების სიყალბეში. არადა, ერთ დროს სიტუაცია გამოუსწორებელი ჩანდა.

### **რატომ არის საჭირო მაგიზოლოგია**

იმედია, ზემოთ აღწერილმა ღონისძიებებმა ზოგადი წარმოდგენა მაინც შეგიქმნათ ჯადოსნური არსებების რეგულირებისა და კონტროლის დეპარტამენტის საქმიანობის მასშტაბსა და მნიშვნელობაზე. ისლა დაგვრჩენია, დავსვათ კითხვა, რომელზე პასუხიც გულის სიღრმეში ყველამ ვიცით: „რატომ ცდილობს ჯადოქართა მთელი საზოგადოება და თითოეული ჩვენგანი ჯადოსნური ცხოველების, მათ შორის ყველაზე მძვინვარე და მოუთვინიერებელი სახეობების დაცვას და დამალვას?“ პასუხი აშკარაა: „იმიტომ, რომ ჯადოქართა მომავალ თაობებსაც შემოვუნახოთ მათი საოცარი სილამაზე და ძალა.“

ჩემი მოკრძალებული ნაშრომი მაგიზოლოგიის შესავალს წარმოადგენს. ის მხოლოდ ზედაპირულად მოგიხსნობთ ჯადოსნური ცხოველების მრავალფეროვანი და მდიდარი სამყაროს შესახებ. მომდევნო გვერდებზე ოთხმოცდაერთი სახეობის ცხოველია აღწერილი, მაგრამ ეჭვიც არ მეპარება, რომ წელს კიდევ ერთ ახალ სახეობას აღმოაჩენენ და ამ წიგნის მორიგი შევსებული გამოცემა გახდება საჭირო. ახლა კი მხოლოდ იმას დავძენ, რომ დიდი სიამაყით მავსებს იმის წარმოდგენა, ამ სახელმძღვანელოს ფურცლებიდან ახალგაზრდა ჯადოქრების რამდენმა თაობამ გაიცნო და შეიყვარა ჯადოსნური ცხოველები.

## **მაგის სამინისტროს მიერ მინიჭებული კლასიფიკაცია (მსკ)**

„ჯადოსნური არსებების რეგულირებისა და კონტროლის დეპარტამენტს“ ყველა ჩვენთვის ცნობილი ცხოველის, არსებისა და სულისთვის გარკვეული კლასიფიკაცია აქვს მინიჭებული. კლასიფიკაცია ასახავს, რამდენად სახიფათოა ესა თუ ის ქმნილება. ქვემოთ მოცემულია მაგის სამინისტროს ხუთივე კლასიფიკაცია:

**XXXXX** – მოკლული ჰყავს ჯადოქარი/არ ექვემდებარება განვრთნას ან მოშინაურებას

**XXXX** – სახიფათო/საჭიროებს სპეციალურ ცოდნას/დამორჩილებას მხოლოდ გამოცდილი ჯადოქარი შეძლებს

**XXX** – მოხერხებული ჯადოქარი თავს გაართმევს

**XX** – უწყინარი/შესაძლებელია მოშინაურება

**X** – მოსაწყენი/უინტერესო

რიგ შემთხვევებში ჩავთვალე, რომ აუცილებელი იყო ზოგიერთი ცხოველისთვის ამა თუ იმ კლასიფიკაციის მინიჭების მიზეზის განმარტება და ძირითადი ტექსტის ქვეშ შესაბამისი შენიშვნა დავურთე.